ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №128

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „12" ივნისი 2017 წ.

ერთის მხრივ, **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელის **მერაბ თოფჩიშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **ამხანაგობა „ფლაგმანი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის გოდერძი ასანიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის **(SPA170005813)** ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა **და** მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

1.6. "ტექნიკური დავალება"– სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **ქალაქ მარნეულში, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე მდინარე ალგეთზე ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვა** (CPV - 45246200 - მდინარის ნაპირის დამცავი სამუშაოების წარმოება).

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა დეტალურად მოცემულია ტექნიკურ დავალებაში და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში.

2.3 დაფინანსების წყარო - 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. გასაწევი სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს **50 150 (ორმოცდაათიათასასორმოცდაათი) ლარს დღგ–ს ჩათვლით.**

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. სამუშაოები გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული, აღმაშენებლის ქუჩა.

4. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია **სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.** იგი პასუხისმგებელია გაწეული სამუშაოების ხარისხსა და დროულობაზე.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

4.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5. **სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. სამუშაოები გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან "მიღება-ჩაბარების" აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი/პირთა ჯგუფი - შესაბამისი მიმღები კომისია.

6. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს - შესაბამისი მიმღები კომისია, ხოლო ტექ/ზედამხედველობას განახორციელებს მარნეულის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების, ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტები - *ბექა აბდელანი და ჯეიხუნ მურადოვი.*

6.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული სამუშაოების ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. **გასაწევი სამუშაოების ხარისხი და გარანტია**

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული სამუშაოები არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

7.2. საგარანტიო ვადა უნდა გავრცელდეს - სამუშაოების ჩაბარებიდან 2 (ორი) წელი, რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებული იქნება აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოზე წარმოქმნილი ყველა დეფექტი ან ნაკლი, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში.

8. **ანგარიშსწორება**

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოების გაწევის შესახებ „მიღება–ჩაბარების" აქტის საფუძველზე, სამუშაოების შესრულების პროცესში ანგარიშსწორებამ შესაძლებელია იწარმოოს შესაბამისი სამუშაოების შესრულების შუალედური დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის

მიხედვით/ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები არ განიხილება.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.4. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გამორმებიდან ან/და შუალედური დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.5. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაო გადაიგზავნება ექსპერტიზაზე, ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე, ეტაპობრივი ანგარიშწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების **90%-ის ფარგლებში**, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სათანადო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, **დასკვნის** გაცემიდან 10 სამუშაო დღის **განმავლობაში** (საექსპერტო მომსახურების ხარჯებს დაფარავს შემსყიდველი)

8.6. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს შემთხვევაში ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება შემსრულებლის მიერ პირგასამტეხლოს **შესაბამისი** რაოდენობის თანხის გადახდის შემდეგ..

9. ფასები

9.1. მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება **ხელშეკრულების პირობები** შემსყიდველისთვის, **გარდა** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე **მუხლით** გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9.4. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების (ხარისხი და დროულობა) შეუსრულებლობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 % ოდენობით.

13.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა შეადგენს შეუსრულებელი ვალდებულების 2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

14.2. მხარე ვალდებულია 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. **სხვა პირობები**

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **30.11.2017წ–მდე.**

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამ აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

17. **მხარეთა რეკვიზიტები**

შემსყიდველი ორგანიზაცია:

მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა

მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73

ს.კ. 234232149
მომსახურე ბანკი: ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს მარნეულის ფილიალი;
ბანკის კოდი: LBRTGE 22.
ა.ა GE54LB0120166049432006.

მარნეულის მუნიციპალიტეტის **გამგებელი:**

_____ /მ. თოფჩიშვილი/

მიმწოდებელი:

ამხანაგობა „ფლაგმანი'

მისამართი:მარნეული, იაღლუჯა N2

ს.კ 234248276
მომსახურე ბანკი : ს.ს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი:BAGAGE22
ა.ა GE85BG0000000202560500

თავმჯდომარე:

_____ /გ.ასანიძე/